



ბიომრავალფეროვნების ხელშეწყობა



კარიერები: ბიომრავალფეროვნების შექმნის საშუალება

ჩვენი კარიერები, კერძოდ, ქეიშისა და ლორლის საბადოები შესაფერისია იმისთვის, რომ ბიოლოგიური მრავალფეროვნების პოპულარიზაცია მოვახდინოთ, რადგან ისინი ქმნიან მრავალფეროვან მოზაიკას ბინადრობისთვის. ეს ადგილები ხშირად იქცევა ბევრი იშვიათი ცხოველისა და მცენარის თავშესაფრად, რაც გამოწვეულია მათი მყუდროების დარღვევით, საკვების ნაკლებობით ან კარიერებში მაღალი დინამიკით.

პრაქტიკული მაგალითები:

კონსერვაციის სპეციფიური პროგრამა სანაპიროს მერცხლისთვის
სანაპიროს მერცხალი არის ის ფრინველი, რომელიც გვხვდება ხრეშისა და ქეიშის კარიერებზე. ჩვენ ვახორციელებთ "სახეობების კონსერვაციის პროგრამას სანაპიროს მერცხლებისთვის" ევროპაში დაახლოებით 20 ადგილას, ვინაიდან მას ემუქრება გადაშენება. პროგრამის მიზანია შენარჩუნდეს ეს სახეობა და სამომავლოდ, გაიზარდოს მისი რაოდენობა მოვლისა და განვითარების შესაბამისი ზომების მიღებით.

პარტნიორობის დამყარება ბიომრავალფეროვნების გაზრდის მიზნით
ჩვენ დავინყეტ საჯარო და კერძო სექტორს შორის თანამშრომლობის პროექტი საქართველოში, გერმანიის ტექნიკური თანამშრომლობის საზოგადოებასთან (GIZ) ერთად. პროექტის მიზანია ბიომრავალფეროვნების ხელშეწყობა ჩვენს კარიერებში, რისი მიღწევაც ადვილად შეგვიძლია რეკულტივაციის ალტერნატიული კონცეფციების შემუშავებით და ამავედროულად პროცესში დაინტერესებული პირების ჩართვით, მაგალითად, როგორცაა უნივერსიტეტები და ადგილობრივი საზოგადოება.

ჰაიდელბერგცემენტი – გლობალური კომპანია

ჰაიდელბერგცემენტი არის სამშენებლო მასალების გლობალური მწარმოებელი. ჩვენ ვართ ლიდერები გლობალურ ბაზარზე ლორლის დანამატების წარმოებაში და გვიკავია ნამყვანი პოზიცია ცემენტისა და ბეტონის ბიზნესში. ჩვენს წარმატებას საფუძვლად უდევს 5 კონტინენტზე, დაახლოებით 2,500 ადგილზე დასაქმებული 53000 თანამშრომლის ერთგული დამოკიდებულება საქმისადმი. ბოლო წლების განმავლობაში ჰაიდელბერგცემენტმა მიაღწია მნიშვნელოვან პროგრესს მდგრადი განვითარებისთვის. „ჰაიდელბერგცემენტის 2020 წლის მდგრადობასთან დაკავშირებული ამბიციები“ და ამისთვის დასახული პრიორიტეტები და მიზნები დაგვეხმარება, სამომავლოდ გავაუმჯობესოთ ჩვენი მუშაობა მდგრადი განვითარების სფეროში.

საკონტაქტო ინფორმაცია:

ჯგუფის კომუნიკაციისა და ინვესტორთა ურთიერთობების დეპარტამენტი
ტელეფონი: +49 6221 481 9739
ელ. ფოსტა: sustainability@heidelbergcement.com

საკონტაქტო ინფორმაცია (საქართველო):

გაყიდვებისა და მარკეტინგის დეპარტამენტი
ტელეფონი: +995 32 47 47 47
ელ. ფოსტა: communication@heidelbergcement.com

ჰაიდელბერგცემენტის არის წვერი ინიციატივისა:



0310000T/ISD/Rev





ჩვენი კარიერის მდგრადი მართვა

მსოფლიოს დაახლოებით 40 ქვეყანაში ჰაიდელბერგცემენტის სახელი კომპეტენტიურობასა და ხარისხთან ასოცირდება. ჩვენი ბიზნესისთვის ბუნებრივი რესურსების დაცვის საკითხი ფუნდამენტურია, ამიტომ მდგრადი განვითარება და გარემოს დაცვა მნიშვნელოვან როლს თამაშობს ჩვენს საქმიანობაში.

ჩვენ, როგორც ნედლეულის მომპოვებელი კომპანია, ვცდილობთ, მაქსიმალურად ეფექტურად გამოვიყენოთ მინერალური რესურსები, რომელთა ნარმოქმნაც მილიონობით წლის უკან ხდებოდა. ტრადიციულად, დიდ პრიორიტეტს ვანიჭებთ ნედლეულის მოპოვების დროს გარემოს დაცვასთან შესაბამის პროცესებს, აგრეთვე შემდგომ რენატურალიზაციასა და ჩვენი კარიერების რეკულტივაციის ზომებს.

ჰაიდელბერგცემენტი ნედლეულის მოპოვების საწყისი ეტაპიდანვე უზრუნველყოფს ცხოველებისა და მცენარეების იმ სახეობების დაცვას, რომელთა საცხოვრებელიც - კარიერი და მისი მიმდებარე ტერიტორიაა. ამ მხრივ, ჰაიდელბერგცემენტი ჯგუფს მიღებული აქვს ზომები საბადოების მახლობლად არსებული სახეობების შესანარჩუნებლად და ასევე მათი მრავალფეროვნების გასაზრდელად.

სახელმძღვანელო ბიომრავალფეროვნების კოჰულარიზაციისათვის

ჰაიდელბერგცემენტი იყო პირველი კომპანია ინდუსტრიაში, რომელმაც 2008 წელს შეიმუშავა სავალდებულო სახელმძღვანელო ბიოლოგიური მრავალფეროვნების ხელმეწყობისათვის ევროპაში. სახელმძღვანელო მოიცავს ნორმებს, რაც კარიერის რეკულტივაციასა და რენატურალიზაციასთან დაკავშირებულ სტანდარტებს განსაზღვრავს. ნორმები ითვალისწინებს შესაბამისი ზომების მიღებას იმისთვის, რომ ყოველი შემდგომი გამოყენებისას მოხდეს საზოგადოების ეკონომიკური, ეკოლოგიური და სოციალური საჭიროების გათვალისწინება.

10 პრინციპი, რომელიც სახელმძღვანელოშია მოცემული, ხელს უწყობს დილოგის გამართვის პროცესს ისეთ სტრუქტურებთან, როგორცაა გარემოს დაცვაზე მომუშავე სახელისუფლებო ორგანოები, ბუნების კონსერვაციის ორგანიზაციები და ადგილობრივი გაერთიანებები. ის აგრეთვე მოიცავს ბიომრავალფეროვნების გაზრდის საკითხს, როგორც ნედლეულის მოპოვების დროს, ასევე მის შემდგომ. ამასთან ერთად, ითვალისწინებს კონკრეტული ტერიტორიებისთვის დამახასიათებელი სახეობებისა და ბუნების დაცვას. საერთაშორისო დონეზე კოორდინაციის გათვალისწინებით, რეგიონის ადგილობრივ მახასიათებლებთან მორგებული და ადაპტირებული სახელმძღვანელო მიზნად ისახავს ერთგვაროვანი ზომების მიღებას ტერიტორიების შემდგომი გამოყენებისთვის. ყოველივე ეს საფუძვლად უდევს ბიომრავალფეროვნების სისტემურ მენეჯმენტს ჰაიდელბერგცემენტში.

ბიომრავალფეროვნების მართვის გამჭვირვალე მიზნები

ამბიციები 2010 წლისთვის

- სახელმძღვანელოს ინტეგრირება გარემოს მართვის სისტემაში;
- კარიერებისა და საბადოების ჩართვა ბიომრავალფეროვნების მონიტორინგის სისტემაში და სამოქმედო გეგმების განხორციელება;
- გაიზარდოს მინერალების გამოყოფის პროცენტული მაჩვენებელი საბადოების ეფექტური აღდგენის გეგმით 85% მდე.

ამბიციები 2012 წლისთვის

- კარიერებისა და საბადოების ჩართვა ბიომრავალფეროვნების მონიტორინგის სისტემაში და სამოქმედო გეგმების განხორციელება;
- გაიზარდოს მინერალების გამოყოფის პროცენტული მაჩვენებელი საბადოების ეფექტური აღდგენის გეგმით 85% მდე.

ამბიციები 2020 წლისთვის

- საბადოების ეფექტური აღდგენის გეგმით გაიზარდოს მინერალების გამოყოფა 100% მდე.
- ბიომრავალფეროვნების მართვის გეგმის სულ მცირე 50% განხორციელება ნედლეულის მოპოვების ადგილებზე, ეს ადგილები კი მდებარეობს ან ახლოსაა ისეთ ტერიტორიებთან, რომელიც ბიომრავალფეროვნებით გამოირჩევა.

